# საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

## ბრძანება №94/04
2021 წლის 14 ივლისი

ქ. თბილისი

**„საბროკერო კომპანიის ლიცენზირებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის №145/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**
„საბროკერო კომპანიის ლიცენზირებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის №145/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge; 06/07/2018; 350090000.18.011.016321) დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ვ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ბ.ვ) ტრანზაქციაში მონაწილე კლიენტ(ებ)ის, აგრეთვე ტრანზაქციის მონაწილე სხვა პირ(ებ)ის შესახებ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ინფორმაციას;".

**მუხლი 2**
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი — კობა გვენეტაძე